

## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 068/13<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გიორგი შალამბერიძე (სტუდენტი)

### ფაქტები

ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ო.–მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ს.–სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ნ. ს. იყო მისი მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი სამკვიდრო დავაზე. ადვოკატმა ნ. ს.–მა დაარწმუნა მისი მეუღლის და, რომ სარჩელი შეეტანა ქ. გურჯაანის რაიონულ სასამართლოში და მოეთხოვა სამკვიდრო ქონების 1/4. არც საქალაქო და არც სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული სარჩელი არ დააკმაყოფილა. უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან გამოუვალი მდგომარეობიდან გამომდინარე გადაწყვიტა მორიგება და დათანხმდა მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაეცა 2 000 (ორი ათასი) ლარი, მორიგების ამ პირობას მოწინააღმდეგე მხარე თავიდან დაეთანხმა, თუმცა ადვოკატმა გადაარწმუნა იგი. მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნის საფასური შეადგენდა 5 000 (ხუთი ათასი) ლარს მაშინ, როცა სადაო ბინის საბაზრო ღირებულება 5 000 (ხუთი ათასი) ლარზე ნაკლებია. საჩივრის ავტორის აზრით, ადვოკატი თავისი ქმედებებით ცდილობდა, რომ მიღებული ჰონორარის უკან დაბრუნების საჭიროება არ დამდგარიყო. ის კლიენტს არწმუნებდა, რომ თუ უზენაეს სასამართლოში დავას წააგებდნენ, იგი მიმართავდა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მოიგებდა საქმეს. აგრეთვე, საჩივრის ავტორის თქმით, ადვოკატმა სასამართლო პროცესების დროს დააშანტაჟა მოწმეები. ასევე სამსახურში მის უფროსთან მიაგზავნა პირები, გათავისუფლების მოთხოვნით. საჩივრის ავტორის სახლი ამჟამად დაყადაღებულია, რის გამოც შეჩერებულია მაღაზიის მშენებლობა და მას ადგება ზიანი. ადვოკატის განცხადებით, ის ხელს უწყობდა საქმის მორიგებით დასრულებას, რადგან მოწინააღმდეგე მხარეები ოჯახის წევრები იყვნენ. მისი კლიენტი მორიგებაზე თანახმა იყო, თუმცა, მორიგება არ შედგა მოპასუხე მხარის წარმომადგენლის ჩარევით. ადვოკატის განმარტებით, მოპასუხე მხარის მოწმეები დარიგებულები იყვნენ, თუ რა უნდა ეთქვათ პროცესზე. მათ მხოლოდ ის ფაქტები ახსოვდათ, რომელთა გახსენებაც მოპასუხე მხარის ინტერესებში შედიოდა.

### სამართლებრივი შეფასება

საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით ანიჭებს უფლებას გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით. აღნიშნული ნორმა კანონიერების პრინციპის დაცვას ადვოკატის ვალდებულებად განიხილავს, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის დაცვაზე უპირატესად. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის სასარგებლო ჩვენების მიღების მიზნით მოწმეების დაშანტაჟება ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს. დაცვის ამგვარი საშუალებების გამოყენება ვერ იქნება

<sup>1</sup><https://gba.ge/pdf/5c5297d002e41.pdf/5c5297d002e41.pdf>

გამართლებული კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობით. მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა დააშანტაჟა მოწმეები სასამართლო პროცესზე მისთვის ხელსაყრელი ჩვენების მისაცემად. საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მისი პოზიციის დამადასტურებელი მტკიცებულება და არ მიუთითებია ისეთი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მის მიერ მითითებული ფაქტის დადასტურება. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, განუმარტოს კლიენტს დავის მორიგებით დასრულების ან დავის ალტერნატიული წესით გადაწყვეტის უპირატესობები. ადვოკატის ვალდებულებაა მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შეფასების შედეგად, კლიენტს მისცეს შესაბამისი რჩევა და ხელი შეუწყოს დავის მინიმალური დანახარჯებით გადაწყვეტას. ადვოკატისათვის განმსაზღვრელი უნდა იყოს არა დავის სასამართლო წესით მოგების მიზანი, არამედ კლიენტის საუკეთესო ინტერესები. ადვოკატის მხრიდან კლიენტისათვის რჩევის მიცემა, უფლების სასამართლო წესით დაცვის, აგრეთვე გადაწყვეტილების ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობის თაობაზე, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევად. მოდავე მხარეთა მორიგების შესახებ გადაწყვეტილება წარმოადგენს სტრატეგიულ ნაბიჯს, რომელსაც კლიენტი და ადვოკატი ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ, ხოლო თუკი რომელიმე მხარე უარს აცხადებს მორიგებაზე, ან მისთვის მიუღებელია მორიგების პირობები, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ადვოკატის მიერ ეთიკის ნორმებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულების დარღვევად.

## **დასკვნა**

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. ს.–ს მიმართ არ აღიძრა დისციპლინური დევნა.